კითხვითი წინადადების განვითარება ბავშვის მეტყველებაში 18-36 თვემდე ასაკში input-output-ზე დაყრდნობით

თათია ბასილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

სარჩევი

აბსტრაქტი----------2

საკვლევი საკითხი და კვლევის აქტუალურობა----------4

ლიტერატურის მიმოხილვა----------5

კითხვითი წინადადებები----------5

კითხვითი წინადადების განვითარება----------7

კითხვითი წინადადების ფორმა----------7

კითხვითი წინადადების ფუნქცია----------8

Input----------12

ინტერაქციული მახასიათებლები----------13

ლინგვისტური მახასიათებლები----------14

კონცეპტუალური შინაარსი----------15

კვლევის მეთოდი----------16

შერჩევა----------16

კვლევის პროცედურა----------17

კვლევის დიზაინი ----------17

კვლევის ცვლადები----------17

შედეგები----------18

ბავშვის შედეგები----------18

მონაწილე A----------20

მონაწილე G----------24

საკომუნიკაციო პარტნიორის შედეგები----------26

მონაწილე A ----------27

მონაწილე G ----------31

დისკუსია----------35

კითხვითი წინადადების ფორმის განვითარება ასაკის მიხედვით----------36

კითხვითი წინადადების ფუნქციის განვითარება----------37

კვლევის შეზღუდვები----------40

შეჯამება----------41

გამოყენებული ლიტერატურა----------43

აბსტრაქტი

კვლევაში წარმოდგენილია ბავშვისა და მისი საკომუნიკაციო პარტნიორის კითხვითი წინადადების განვითარება ასაკის მიხედვით. კვლევის მიზანი იყო გამოევლინა კითხვითი წინადადების განვითარება ბავშვის მეტყველებაში 18-36 თვემდე ასაკში input-output-ზე დაყრდნობით. ასევე კვლევის მიზი იყო იმის გამოვლენა, თუ რა ფორმასა და ფუნქციას იყენებენ ბავშვები და მათი საკომუნიკაციო პარტნიორები ინტერაქციის დროს, რა კავშირია მშობლისა და ბავშვის მიერ გამოყენებულ კითხვით წინადადებებს შორის, რა მიმართებაა შეკითხვების ფუნქციასა და ფორმას შორის.

მოცემულ კვლევაში დამუშავდა ორი ბავშის მეტყველების ჩანაწერი, რომელიც გაკეთდა 18-დან 35 თვის ჩათვლით. მეტყველების ჩაწერა განხორციელდა ბუნებრივ გარემოში. მონაცემები დამუშავდა სამ თვიანი შუალედებით. კვლევის ფარგლებში გაკეთდა ჩანაწერის ტრანსკრიპტები CLAN პროგრამაში და მოხდა მათი დამუშავება. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვები კითხვითსიტყვიან წინადადებებს უფრო მეტი რაოდენობით იყენებენ, ვიდრე ინრონაციურს. საკომუნიკაციო პარტნიორის შემთხვევაში კი ეს მონაცემი სხვაგვარადაა. კითხვითი წინადადების ფუნქციის შემთხვევაში მეტყველების პროცესში ინფორმაციის მიღების ფუნქციით გაცილებით მეტ კითხვას სვამს როგორც ბავშვი, ასევე მისი საკომუნიკაციო პარტნიორი. შედეგებმა ასევე აჩვენა, პირველი კითხვითი სიტყვის გამოვლენის ასაკი, თუმცა ეს მონაცემი სხვადასხვაა ორივე ბავშვთან მიმართებაში. ერთის შემთხვევაში ის ვლინდება 18 თვის ასკიდან, მეორეს შემთხვევაში კი 27 თვისდან.

კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა მიმართება კითხვითი წინადადების ფორმასა და ფუნქციას შორის. კითხვითსიტყვიანი წინადადებები ძირითადად გამოყენებული იყო ინფორმაციის მოთხოვნისთვის. ინტონაციური კითხვის ფორმები კი გამოყენებული იყო დადასტურება/დამოწმების, ყურადღების მოთხოვნის, ნებართვის მოთხოვნის, მოქმედების შეთავაზებისა და განცხადებებისათვის. საკომუნიკაციო პარტნიორების შემთხვევაში კი კითხვითსიტყვიანი წინადადებები გამოყენებული იყო ინფორმაციის მოთხოვნის ფუნქციით. ინტონაციური შეკითხვები კი გამოყენებული იყო როგორც ინფორმაციის მოთხოვნის, ასევე არა-ინფორმაციული ფუნქციისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: **კითხვითი წინადადების ფორმები, კითხვითი წინადადების ფუნქციები, input.**

Abstract

The study presents the development of the interrogative sentence of the child and his/her partner in communication according to age. The research aims to reveal the development of the interrogative sentence in the child's speech at the age of 18-36 months based on input-output. Also, the purpose of the research is to disclose the form and function that children and their communication partners use during interaction, how the interrogative sentences used by the parent and the child are related, and what is the relationship between the function and form of questions.

In this study, the speech recordings of two children, at the age of 18 to 35 months, were studied. The speech was recorded in a natural environment. The data were processed at three-month intervals. As part of the study, the transcripts of the recordings were made in the CLAN program and analyzed. The results of the study showed that children use more interrogative sentences than intonation ones. In the case of a communication partner, this data is different. In the case of the interrogative sentence function, both the child and his communication partner ask much more questions with the function of receiving information in the speech process. The results also showed the age of the first question word, although this data was different for both children. In the case of one, it appears from the age of 18 months, and in the case of the other, from the age of 27 months.

The results of the study also showed a relationship between the form and function of the interrogative sentence. Interrogative sentences were mainly used to request information. Intonational question forms were used for confirmation/verification, attention requests, permission requests, action suggestions, and announcements. In the case of communication partners, question-word sentences were used to request information. Intonational questions were used both for requesting information and for non-informational functions.

Key words: **Functions of interrogatives, Forms of interrogatives, Input.**